SOCIALRESEARCH.GE

# სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია: სოციალური ახსნის მოდელები

ავტორი: თამარ ცხადაძე, ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფიის ცენტრალური ცნებები და მიმართულებები, სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირებული ონტოლოგიური, ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური საკითხები, მეცნიერული ახსნის ალტერნატული მოდელები და მათი გამოყენება სოციალურ მეცნიერებებში, ფილოსოფიური დებატები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ახსნა თუ გაგება, მიზეზშედეგობრიობა თუ ინტენციონალობა, სტრუქტურა თუ სუბიექტი, ინდივიდუალიზმი თუ ჰოლიზმი, ობიექტურობა თუ ღირებულებები, ნატურალიზმი და სხვა.

კურსის განრიგი/თემატიკა:

1. მიზეზშედეგობრივი ახსნა. მეცნიერული ახსნის დედუქციურ-ნომოლოგიური მოდელი და მისი ადგილი სოციალურ მეცნიერებებში.
2. ინტენციონალობა და რაციონალობა (რაციონალური არჩევანის მოდელი; გადაწყვეტილებების, თამაშების თეორია, კოლექტიური ქმედების თეორია).
3. ახსნის რაციონალური არჩევანის მოდელის ფილოსოფიური წანამძღვრები, სიძნელეები და კრიტიკა.
4. ინტერპრეტაცია (გაგება ახსნის საპირისპიროდ. ინტერპრეტაციის თეორიები, ჰერმენევტიკული მეთოდი).
5. ფუნქციონალისტური ახსნა (ფუნქცია და მიზეზი; ფუნქციონალიზმი სოციალურ მეცნიერებაში).
6. სტრუქტურალისტური ახსნა.
7. მეცნიერების ობიექტურობა და ღირებულებების ადგილი (ობიექტურობის სხვადასხვა ცნება. ობიექტურობა სოციალურ მეცნიერებაში).
8. რელატივიზმი და მისი ვერსიები. უთანაზომობის იდეა. პოსტპოზიტივიზმი მეცნიერების ფილოსოფიაში.
9. მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი და ჰოლიზმი.
10. ნატურალიზმი, რედუქციონიზმი, კერძო მეცნიერებები და მეთოდოლოგიური პლურალიზმი.